

# თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №48  
2018 წლის 24 დეკემბერი

ქ. თერჯოლა

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა)“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დანართის მიხედვით.

### მუხლი 2

დადგენილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ნინო ჯანელიძე

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი თავი I

### თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

#### მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	შემოსავლები	14 185,3	15 010,5	5 839,6	9 170,9	10 060,0	160,0	9 900,0
11	გადასახადები	2 276,0	2 036,0	0,0	2 036,0	9 148,1	0,0	9 148,1
13	გრანტები	11 064,2	12 128,2	5 839,6	6 288,6	160,0	160,0	0,0
14	სხვა შემოსავლები	845,1	846,3	0,0	846,3	751,9	0,0	751,9
2	ხარჯები	8 052,3	8 915,5	160,0	8 755,5	9 242,0	160,0	9 082,0
21	შრომის ანაზღაურება	1 574,6	1 845,3	73,1	1 772,2	2 041,0	73,0	1 968,0
22	საქონელი და მომსახურება	1 095,8	1 218,9	9,7	1 209,2	1 244,5	15,0	1 229,5
23	ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
24	პროცენტი	0,0	53,2	0,0	53,2	50,0	0,0	50,0
25	სუბსიდიები	4 535,0	4 768,0	76,0	4 692,0	4 962,5	69,0	4 893,5



26	გრანტები	0,7	0,8	0,0	0,8	1,0	0,0	1,0
27	სოციალური უზრუნველყოფა	726,7	833,0	1,2	831,8	808,0	3,0	805,0
28	სხვა ხარჯები	119,5	196,3	0,0	196,3	135,0	0,0	135,0
	საოპერაციო საღდო	6 133,0	6 095,0	5 679,6	415,4	818,0	0,0	818,0
31	არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 307,0	9 137,8	7 817,7	1 320,1	818,0	0,0	818,0
311	ზრდა	4 410,0	9 437,8	7 817,7	1 620,1	968,0	0,0	968,0
312	კლება	103,0	300,0	0,0	300,0	150,0	0,0	150,0
	მთლიანი საღდო	1 826,0	-3 042,8	-2 138,1	-904,7	0,0	0,0	0,0
	ფინანსური აქტივების ცვლილება	1 857,2	-3 042,8	-2 138,1	-904,7	0,0	0,0	0,0
32	ზრდა	1 867,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3212	ვალუტა და დეპოზიტები	1 867,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3213	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3214	სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3215	აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3216	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3217	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3218	სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
32	კლება	10,2	3 042,8	2 138,1	904,7	0,0	0,0	0,0
3222	ვალუტა და დეპოზიტები	0,0	3 042,8	2 138,1	904,7	0,0	0,0	0,0
3223	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3224	სესხები	10,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3225	აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3226	სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3227	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
3228	სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



3	ვალდებულებების ცვლილება	-111,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
33	ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
332	საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
331	საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
32	კლება	111,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
322	საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
321	საშინაო	111,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
		0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

**მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**  
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	შემოსულობები	14 333,6	15 310,5	5 839,6	9 470,9	10 210,0	160,0	10 050,0
1	შემოსავლები	14 185,3	15 010,5	5 839,6	9 170,9	10 060,0	160,0	9 900,0
31	არაფინანსური აქტივების კლება	103,0	300,0	0,0	300,0	150,0	0,0	150,0
32	ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	45,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
33	ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	გადასახდელები	12 573,6	18 353,3	7 977,7	10 375,6	10 210,0	160,0	10 050,0
2	ხარჯები	8 052,3	8 915,5	160,0	8 755,5	9 242,0	160,0	9 082,0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4 410,0	9 437,8	7 817,7	1 620,1	968,0	0,0	968,0
32	არაფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
33	ვალდებულებების კლება	111,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ნაშთის ცვლილება	1 760,0	-3 042,8	-2 138,1	-904,7	0,0	0,0	0,0



თავი II

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 10210,0 ათასი ლარის ოდენობით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	შემოსავლები	14298,5	15310,5	5839,6	9470,9	10210,0	160,0	10050,0
11	გადასახადები	2276,0	2036,0	0,0	2036,0	9148,1	0,0	9148,1
13	გრანტები	11064,2	12128,2	5839,6	6288,6	160,0	160,0	0,0
14	სხვა შემოსავლები	845,1	846,3	0,0	846,3	751,9	0,0	751,9
31	არაფინანსური აქტივების კლება	103,0	300,0	0,0	300,0	150,0	0,0	150,0
32	ფინანსური აქტივების კლება	10,2	0	0	0	0	0	0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 9148,1 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით.

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
11	გადასახადები	2276,0	2036,0	0,0	2036,0	9148,1	0,0	9148,1
112	საშემოსავლო გადასახადი	869,7	600,0	0,0	600,0	0,0	0,0	0,0
113	ქონების გადასახადი	1406,3	1436,0	0,0	1436,0	1500,0	0,0	1500,0
113111	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	905,8	986,0	0,0	986,0	1150,0	0,0	1150,0
113112	უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	112,9	100,0	0,0	100,0	0,0	0,0	0,0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	16,0	5,0	0,0	5,0	5,0	0,0	5,0
113114	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	72,6	45,0	0,0	45,0	41,0	0,0	41,0
113115	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	299,0	300,0	0,0	300,0	304,0	0,0	304,0



1136	სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
114	დამატებული ღირებულების გადასახადი	0,0	0,0	0,0	0,0	7648,1	0,0	7648,1
116	სხვა გადასახადები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

### მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 160,0 ათასი ლარის ოდენობით.

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
13	გრანტები	11064,2	12128,2	5839,6	6288,6	160,0	160,0	0,0
133	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	11064,2	12128,2	5839,6	6288,6	160,0	160,0	0,0
1311	ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5318,7	6224,7	160,0	6064,7	160,0	160,0	0,0
	გათანაბრებითი ტრანსფერი	5158,7	6064,7	0,0	6064,7	0,0	0,0	0,0
	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	160,0	160,0	160,0	0,0	160,0	160,0	0,0
1312	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5745,5	5679,6	5679,6	0,0	0,0	0,0	0,0
	რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	3855,7	5679,6	5679,6	0,0	0,0	0,0	0,0
	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	1889,8	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	სხვა პროექტები	0,0	223,9	0,0	223,9	0,0	0,0	0,0

### მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 751,9 ათასი ლარის ოდენობით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
14	სხვა შემოსავლები	845,1	846,3	0,0	846,3	751,9	0,0	751,9



	პროცენტები	99,4	80,0	0,0	80,0	70,0	0,0	70,0
141	შემოსავლები საკუთრებიდან	253,2	270,0	0,0	270,0	250,0	0,0	250,0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	251,7	270,0	0,0	270,0	250,0	0,0	250,0
	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	113,6	81,3	0,0	81,3	86,9	0,0	86,9
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	100,0	75,0	0,0	75,0	80,0	0,0	80,0
14222	სანებართვო მოსაკრებელი	29,1	15,0	0,0	15,0	15,0	0,0	15,0
	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	70,9	60,0	0,0	60,0	65,0	0,0	65,0
142216	ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	13,6	6,3	0,0	6,3	6,9	0,0	6,9
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	13,6	6,3	0,0	6,3	6,9	0,0	6,9
143	ჯარიმები, სანქციები და საურავები	316,6	390,0	0,0	390,0	320,0	0,0	320,0
	ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	62,3	25,0	0,0	25,0	25,0	0,0	25,0

### თავი III

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

### მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 10210,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
2	ხარჯები	12462,3	18353,3	7977,7	10375,6	10210,0	160,0	10050,0
21	შრომის ანაზღაურება	1574,6	1845,3	73,1	1772,2	2041,0	73,0	1968,0



22	საქონელი და მომსახურება	1095,8	1218,9	9,7	1209,2	1244,5	15,0	1229,5
24	პროცენტი	0,0	53,2	0,0	53,2	50,0	0,0	50,0
25	სუბსიდიები	4535,0	4768,0	76,0	4692,0	4962,5	69,0	4893,5
26	გრანტები	0,7	0,8	0,0	0,8	1,0	0,0	1,0
27	სოციალური უზრუნველყოფა	726,7	833,0	1,2	831,8	808,0	3,0	805,0
28	სხვა ხარჯები	119,5	196,3	0,0	196,3	135,0	0,0	135,0
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4410,0	9437,8	7817,7	1620,1	968,0	0,0	968,0
33	ვალდებულებების კლება	111,3	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

### მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 968,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	59,6	46,1	0,0	46,1	90,0	0,0	90,0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4172,4	8842,9	7565,3	1277,6	858,0	0,0	858,0
04 00	განათლება	178,0	511,8	252,4	259,4	0,0	0,0	0,0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
06 00	ჯანდაცვის პროგრამები	0,0	37,0	0,0	37,0	20,0	0,0	20,0
	<b>სულ ჯამი</b>	<b>4410,0</b>	<b>9400,8</b>	<b>7817,7</b>	<b>1583,1</b>	<b>968,0</b>	<b>0,0</b>	<b>948,0</b>

### მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 150,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

		2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა



კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
31	არაფინანსური აქტივების კლება	103,0	300,0	0,0	300,0	150,0	0,0	150,0
311	ძირითადი აქტივები	16,7	200,0	0,0	200,0	100,0	0,0	100,0
312	მატერიალური მარაგები	-0,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
314	არაწარმოებული აქტივები	86,8	100,0	0,0	100,0	50,0	0,0	50,0
3141	მიწა	86,8	100,0	0,0	100,0	50,0	0,0	50,0

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
32	ფინანსური აქტივების კლება	10,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
321	საშინაო	10,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
324	სესხები	10,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2446,5	2980,1	0,0	2980,1	3087,5	0,0	3087,5
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2446,5	2912,8	0,0	2912,8	3082,5	0,0	3082,5





70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2446,5	2862,8	0,0	2862,8	3032,5	0,0	3032,5
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0,0	67,3	0,0	67,3	5,0	0,0	5,0
<b>702</b>	<b>თავდაცვა</b>	<b>94,0</b>	<b>115,0</b>	<b>83,0</b>	<b>32,0</b>	<b>125,0</b>	<b>90,0</b>	<b>35,0</b>
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
<b>704</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>3611,8</b>	<b>5944,0</b>	<b>5140,9</b>	<b>803,1</b>	<b>400,0</b>	<b>0,0</b>	<b>400,0</b>
7045	ტრანსპორტი	3611,8	5944,0	5140,9	803,1	400,0	0,0	400,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3611,8	5944,0	5140,9	803,1	400,0	0,0	400,0
<b>705</b>	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>1169,1</b>	<b>1260,0</b>	<b>0,0</b>	<b>1260,0</b>	<b>1200,0</b>	<b>0,0</b>	<b>1200,0</b>
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1169,1	1260,0	0,0	1260,0	1200,0	0,0	1200,0
<b>706</b>	<b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>	<b>795,0</b>	<b>3167,6</b>	<b>2424,4</b>	<b>743,2</b>	<b>766,0</b>	<b>0,0</b>	<b>766,0</b>
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	233,1	193,7	3,6	190,1	276,0	0,0	276,0
7063	წყალმომარაგება	299,0	2768,9	2420,8	348,1	240,0	0,0	240,0
7064	გარე განათება	162,3	205,0	0,0	205,0	250,0	0,0	250,0
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	100,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
<b>707</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>105,9</b>	<b>117,0</b>	<b>76,0</b>	<b>41,0</b>	<b>103,0</b>	<b>69,0</b>	<b>34,0</b>
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	82,8	80,0	76,0	4,0	83,0	69,0	14,0
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	23,1	37,0	0,0	37,0	20,0	0,0	20,0
<b>708</b>	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>1195,6</b>	<b>1289,0</b>	<b>0,0</b>	<b>1289,0</b>	<b>1304,0</b>	<b>0,0</b>	<b>1304,0</b>
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	358,7	443,0	0,0	443,0	430,0	0,0	430,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	784,9	791,0	0,0	791,0	819,0	0,0	819,0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	52,0	55,0	0,0	55,0	55,0	0,0	55,0
<b>709</b>	<b>განათლება</b>	<b>2295,9</b>	<b>2686,8</b>	<b>252,4</b>	<b>2434,4</b>	<b>2425,0</b>	<b>0,0</b>	<b>2425,0</b>
7091	სკოლამდელი აღზრდა	2112,8	2271,9	252,4	2019,5	2230,0	0,0	2230,0



7092	ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	183,1	414,9	0,0	414,9	195,0	0,0	195,0
<b>710</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>791,6</b>	<b>794,8</b>	<b>1,0</b>	<b>793,8</b>	<b>799,5</b>	<b>1,0</b>	<b>798,5</b>
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	58,2	50,2	0,0	50,2	0,0	0,0	0,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	410,6	421,1	0,0	421,1	799,5	1,0	798,5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	322,8	323,5	1,0	322,5	0,0	0,0	0,0
	<b>სულ</b>	<b>12505,4</b>	<b>18354,3</b>	<b>7977,7</b>	<b>10376,6</b>	<b>10210,0</b>	<b>160,0</b>	<b>10050,0</b>

#### თავი IV

### თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

#### მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

#### მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0,0 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

#### მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

#### თავი V

### თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2022 წლებისათვის, პროგრამები/ქვეპროგრამები

#### მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია ადგილობრივი თვითმმართველობის იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, რომელიც ყველაზე აქტუალურია მოსახლეობისათვის. შემოდინიშნულის გათვალისწინებით 2019-2022 წლებში მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია.
- განათლება.
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები.
- მოსახლების ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის ხელშეწყობა.

#### 1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული



ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

### ა) გზების მშენებლობის რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის ხარჯი (პროგრამული კოდი 03 01)

**პროგრამის მიზანი:** საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში არსებული ასფალტოვანი დაზიანებული გზების შეკეთება და ხრეშოვანი გზების რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წინა წლებში ადგილობრივი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ საგარანტიო თანხების დაფინანსება. ასევე განხორციელდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თერჯოლის მუნიციპალიტეტისათვის გამოფილი დაფინანსების თანადაფინანსება.

### ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში კეთილსაიმედო სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობის და კომუნალური ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა მათ შორის: სახურავების რეაბილიტაცია, გარე განათების და წყალ-კანალიზაციის მოწესრიგება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება.

#### ბ.ა) საბინაო კომუნალური მეურნეობის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02 01)

**ქვეპროგრამის მიზანი:** მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენებისა და გართობის ადგილების შექმნა. სკვერებისა და პარკების რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა;

მუნიციპალიტეტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ობიექტების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებისა და შენობების სახურავების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ადმინისტრაციული სხვადასხვა დანიშნულების შენობების სხვადასხვა სახის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რომლითაც თავიდან იქნება აცილებული შემდგომი დაზიანებები და დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

#### ბ.ბ) წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია(პროგრამული კოდი 03 02 02)

**ქვეპროგრამის მიზანი:** ქსელის გამართული ფუნქციონირება.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი წყლის სათავე ნაგებობებისა და ქსელი მოწყობა, არსებული დაზიანებული სასმელი წყლის მილების შეცვლა, მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის საჭირო ინვენტარის შექმნა. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული სისტემის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

#### ბ.გ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

**ქვეპროგრამის მიზანი:** გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება;

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს



მუნიციპალიტეტის გარე განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია.

## გ) დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

**ქვეპროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება. კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტი;

ამ ქვეპროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური,, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებისა და ქალაქის ქუჩების, მოედნების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, ცენტრალური საავტომობილო გზის, ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თვითდინებითი წყალსადენების წყლის სათავე ნაგებობებისა და წყლის სისტემების მოვლა შენახვა და რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე და დეკორატიული განათების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია, სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ქალაქგამწვანებისა და ქალაქგაფორმების ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა. შენობა ნაგებობების, მიმდებარე ტერიტორიების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის, ტროტუარების გაზონების მოწყობა, მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების წარმოება და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების, ქუჩებისა და ტროტუარების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

## 2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წელს განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება სუბსიდირების მუხლით, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

### ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ამ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ორგანიზება და მართვა.

#### ა.ა) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა (პროგრამული კოდი 04 01 01)

**ქვეპროგრამის მიზანი:** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა;

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლება. ამ ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საბავშვო ბაგა-ბაღების ეფექტიანი ფუნქციონირება. ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი,,.

#### ა.ბ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

**ქვეპროგრამის მიზანი:** სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისათვის მზაობა;

ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი ,, მოიცავს ცენტრის 26 საბავშვო ბაგა-ბაღს სადაც ფუნქციონირებს 54 საამღზრდელო ჯგუფი.

საბავშვო ბაგა-ბაღში დაწყებით განათლებას იღებს 1183 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვებას, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს სუბსიდიის მუხლით. ასევე განხორციელდება არსებული ბაღების შენობების რეაბილიტაცია.

### ბ) სკოლისგარეშე განათლება (პროგრამული კოდი 04 02)



**პროგრამის მიზანი:** მომავალი თაობის ინტელექტუალურ, ესთეტიკურ-ზნეობრივი აღზრდა; მოსწავლე ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალური დაცვის, მოქალაქეობრივი და ესტეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი, რომელიც ფინანსდება სუბსიდიის მუხლით. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის განათლებას და აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ, რეგიონალურ და რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსებში.

### **კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

#### **ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

**პროგრამის მიზანი:** ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. აგრეთვე მოხდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

#### **ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება(პროგრამული კოდი 05 01 03)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** სპორტის პროპაგანდა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია;

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ადგილობრივი სპორტული კლუბები და ღონისძიებები თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. აგრეთვე მოხდება წარმატებული სპორტსმენების სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის დაფინანსება.

#### **ა.გ) სპორტული სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 06)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება და თაობათა შორის მემკვიდრეობის უწყვეტობა, მოზარდი თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და მასობრივი სპორტის განვითარების პროპაგანდა;

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი,“ რომელიც აქტიურად ახორციელებს სპორტის სახეობათა მიხედვით სპორტული გუნდების, ჯგუფების და სექციების მონაწილეობას სხვადასხვა ტურნირებში და შეჯიბრებებში, თანამშრომლობს სახელმწიფო და არასახელმწიფო სპორტულ ორგანიზაციებთან, მათთან ერთად ატარებს სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებს (კალათბურთი,ფრენბურთი, მინი-ფეხბურთი, ჭიდაობა, მხიარული სტარტები და სხვა) ცენტრი ეფექტურად იყენებს სპორტულ ნაგებობას, უვლის და პატრონობს, როგორც მას ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ შადრევანს და გამწვანებულ ზოლს. ცენტრი უზრუნველყოფს თერჯოლის მომავალი თაობების ჩამოყალიბებას პროფესიონალ სპორტსმენებად. სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს ჭიდაობის 10 ჯგუფი, ჭადრაკის 2, კალათბურთის 1, კარატეს1, სანდას1, ტანვარჯიშის 1 და რაგბის 2 ჯგუფი. სკოლაში მთლიანად წვრთნებს გადის 350 მოზარდი. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ყველა ხარჯს სუბსიდიის მუხლით.

#### **ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

**პროგრამის მიზანი:** ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, სამხატვრო და სამუსიკო ხელოვნებისადმი მოზარდთა დაინტერესება;



მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

#### **ბ.ა) სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 05 02 01)**

**ქვეპროგრამის მიზანი:** სამხატვრო და სამუსიკო ხელოვნებისადმი მოზარდთა დაინტერესება;

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „ვაჟა კუბლაშვილის სახელობის თერჯოლის სამუსიკო საგანმანათლებლო სკოლა „სადაც მუსიკალურ განათლებას იღებს 200 ბავშვი, სწავლის გადასახადი ერთ ბავშვზე შეადგენს 5 ლარს თვეში.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „თერჯოლის სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლა,, სადაც სამხატვრო განათლებას იღებს 50 ბავშვი.

#### **ბ.ბ) ბიბლიოთეკები (პროგრამული კოდი 05 02 03 )**

**ქვეპროგრამის მიზანი:** წიგნიერი თაობის აღზრდა;

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ბიბლიოთეკის ხარჯები სუბსიდირების მუხლით. საჯარო ბიბლიოთეკა კოორდინაციას უწევს საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ბიბლოგრაფიულ მომსახურებას, ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მოთხოვნების, ინტერესებისა და პროფესიული მოთხოვნების შესწავლასა და ანალიზს, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნასა და ინტერესების სრულად და ოპერატიულად დაკმაყოფილებას. საბიბლიოთეკო ფონდი შეადგენს 91305 წიგნს ღირებულებით 215366 ლარი.

#### **ბ.გ) კულტურის სახლები ( პროგრამული კოდი 05 02 04 )**

**ქვეპროგრამის მიზანი:** სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონისძიების ჩატარება

